აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან ევრკოკავშირში მიგრაცია-ოფციები უკეთესი მომავლისთვის

მოკლე მიმოხილვა

ეს კვლევა წარმოადგენს დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც გამომდინარეობს ევრო კომისიის პროექტიდან „ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის მობილობის ხარჯი და სარგებლი" (კონტრაქტი N2011/270-312, სატენდერო პროცედურაEuropeAid/130215/C/SER/Multi). პროექტის ფარგლებში მოხდა 11 ქვეყნისშესწავლა (ექვსი აღმოსავლეთპარტნიორობის ქვეყნისა და ხუთი ევროკავშირის ქვეყნის: დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, გერმანია), დაგაკეთდა ორი ზოგადიმოხსენება: "შრომითი მიგრაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან: პროგრესი და პოლიტიკის ოფციები უკეთესი შედეგებისთვის" (Barbone, Bonch-Osmolovskiy და Luecke 2013) და "შრომითი მიგრაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდნ ევროკავშირში: ხარჯისა და სარგებლის შეფასება და წინადადებები სამუშაო ბაზრის უკეთ თავსებადობისთვის"(Kahanec, Zimmermann, Kurekova და Biavaschi 2013).

ამ საბოლოო ნაშრომში ჩვენ პირველ რიგში შევაჯამეთ მიგრაციის ხარჯისა და სარგებლის მტკიცებულებები სპეციფიკურად აღმოსავლეთ პარტნიორობის და ევროკავშირის ქვეყნებისთვის. შედეგად ვნახეთ რომ (i) ხარჯისა და სარგებელის ბალანსი არის დადებითი როგორც გამგზავნი ასევე მიღების ქვეყნისთვის; (ii) ხარჯების შემცირება და სარგებელის გაზრდა შესაძლებელია შესაბამისი პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც ხელს შეუწყობს მობილურობას და მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების ინტეგრაციას, ასევე უზრუნველყოფს ფულადი გზავნილების უკეთეს ეკონომიკურ შედეგებს; (iii) შრომით მიგრანტებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს რათა შეავსონ არსებული დეფიციტური უნარები ყველა დონეზე მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, რადგანაც გარდამავალი დემოგრაფიული ტენდენცია ინტენსიურდებ აევროპაში .

ამ პროექტის შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე ჩვენ გთავაზობთ მობილობის ეტაპობრივ ლიბერალიზაციას ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის როგორც პირველ საუკეთესო პოლიტიკურ ალტერნატივას. რამდენიმე შესაძლო ინიციატივა, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ მობილობის ხელშეწყობის მიზნით, მოიცავს:

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის:

- მიგრაციის ობიექტივის მიღება საჯარო პოლიტიკის ყველა სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს მიგრაციასა და მის შედეგებზე, მიგრაციის საკითხების გამოკვეთილად ჩართვით ეროვნულ სტრატეგიებსა და ასევე დარგობრივ სამოქმედო გეგმებში.
- უკეთესი ინსტიტუციური კოორდინაცია, სტრატეგიული ხედვის მიღება შრომით მიგრაციაზე და საბოლოოდ ერთი ეროვნული სტრუქტურის გამოყოფა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს და ხელს შეუწყობს შრომითი მიგრაციის სტრატეგიას.

- წევრი ქვეყნების მიერ ერთჯერადი ნებართვის კანონის ამოქმედებასთან ერთად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა მოლაპარაკებების გზით უნდა გააფორმონ დამატებითი ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მიგრანტებისთვის სამუშაო და საცხოვრებელი ვიზების ერთი, მარტივი პროცედურით მიღებასა და ასევე ამ ქვეყნების სოციალური დაცვის სფეროების კერძოდ კი სოციალური დაზღვევის უფრო მეტად ხელმისაწვდომობას.
- შესაბამისი ზომების მიღება, რათა დიასპორა უფრო აქტიურად ჩაერთოს ინვესტიციების მოზიდვაში შესაბამისი პოლიტიკის გატარებით , რაც გულისხმობს უკეთესი ბიზნეს გარემოს შექმნას და მმართველ ორგანოებთან ორგანიზაციული საკითხების შეჯერებას. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს დიასპორაში ქვეყნის შიდა პრობლემების წამოწევასა და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობას.

ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნებისთვის:

- უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღება;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესება, მრავალმხრივი და ორმხრივი მობილურობის ჩარჩოების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ლურჯი ბარათის შესახებ განკარგულების უფრო ეფექტურად ამოქმედებას, სამუშაო უფლების მოპოვების პროცედურების გამარტივებას, კონკრეტული პროფესიებისა და სექტორებისთვის პროგრამების შექმნასა და საემიგრაციო პროცესების უფრო მეტად გამჭვირვალობასა და გამარტივებას.
- მიგრანტების ინტეგრაციისთვის დამატებითი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო უნარების ახალი დასაქმების სივრცეზე მორგებას, სოციალური უფლებების აღიარებას, საინფორმაციო ვაკუუმის შემცირებას, საზოგადოების აზრის მართვასა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართვას პროცესებში.